



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikhia,

E-mail. admin@tsalenjikhia-Sakrebulo.ge; www. tsalenjikhia-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 აპრილი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 18

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში, (იჯარით), აუქციონის ფორმით, გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122 ე მუხლის მე-5-ე პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშშორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე და 36-ე მუხლის თანახმად,

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს გასცეს სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 85530 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N47.02.39.214). წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 5000 ლარით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ლალიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



კორნელი სალია